საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1741/01
25/02/2021

1741-01-2-202102251519

შპს „ემპა კომპანის"
მის: ადიგენის რაიონი, ს. არალი
ელ. ფოსტა: empacompany26@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 9 თებერვლის N1878 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელ არალში ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 10 მეტრში მიედინება მდინარე ქვაბლიანი. „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ქვაბლიანის წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 20 მეტრს, კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება მდ. ქვაბლიანის წყალდაცვით ზოლში. ვინაიდან წყალდაცვით ზოლში მოქმედებს გარკვეული სახის აკრძალვები, გთხოვთ, წარმოადგინოთ ტერიტორიაზე გათვალისწინებული საპროექტო დანადგარების/ობიექტების GPS კოორდინატები და ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, კომპანია დაგეგმილი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 450 მეტრში ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების #10001791 ლიცენზიას, საიდანაც დაგეგმილია საწარმოს ნედლეულით მომარაგება, თუმცა, აღნიშნული ლიცენზია დაყოფილია ორ უბნად და პირველი უბანი საპროექტო ტერიტორიიდან დაცილებულია დაახლოებით 1300 მეტრით. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი საწარმოს ნედლეულით მომარაგების და პროდუქციის გაცემის სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, თუმცა, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ხმაურწარმომქმნელი დანადგარების, მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონეების და მათი გავრცელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე